ცნობის ფურცელი

№ 1979 შაბათი, 9 ნოემბერი 1896—1902 ყოველ-დღიური გამოცემა № 1979

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ბანკის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ტფილისის ქალაქის მოურავის მოადგილე აცხადებს საყოველთაოდ, რომ კვირას, 10 ნოემბერს, ალექსანდრე-ნეველის სამხედრო სობოროში, შუადღის 12 საათზე გადახდილ იქნება პანაშვიდი გარდაცვლილ მეომართა, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს უკანასკნელ **რუს-ოსმალოს ომში**, და შუადღის 1 საათზე, ვანქის სობოროში გენერლების

გრ. ლორის-მელიქოვისა, ტერ-ღუკასოვისა, ალხაზოვისა და
შელკოვნიკოვისა,
რომელნიც ვანქის გალავანში არიან დასაფლავებულნი. (1—1).

წარმოდგენა 13. ტელეფონი 617

✡ **დილის იაფ-ფასიანი წარმოდგენა** ✡

ქართული თეატრი

კვირას, 10 ნოემბერს, 1902 წელს

ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

✦ **დაკლებულის ფასებით** ✦

I

პატიოსნება

კომედია 4 მოქმედ. გენრიხ ზუდერმანისა, თარგმ. არ. ახნაზაროვისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ნ. გამყრელიძისა, ალ. კარგარეთელი, ოლ. ლეჟავა, ბ. რიონელი; ბ ნნი: დ. აწყურელი, ვ. გამყრელიძე, გ. ველევანოვი, ვ. გუნია, ი. ივანიძე, ს. სვიმონიძე, კ. შათირიშვილი, რომანიშვილი, ქლენტი.

ადგილების ფასები: ლოჟები 4 მ.-დან 8 მ.-მდე, პარტერი 50 კ.-დან 1 მ. 50 კ.-მდე, ამფითეატრი 60 კ.-დან 1 მ.-მდე, გალერეა 20 კ.-დან 35 კ.-მდე. შეგირდებისათვის ადგილები 40 კაპ.

დასაწყისი დილის 12 საათზე

მზადდება წარმოსადგენად **„გოვერნიორის მეუღლობა“**, **„მუშაკი და ნებიერი“**, **„მეტი მოყვარე ძმები“**. რეჟისორი **ვალ. გუნია.**

ტფილისის კრუჟოკი

ხელმწიფე იმპერატორის უმაღლესს

მფარველობის ქვეშ მყოფის ზემო ავჭალის სამიწათ-მოქმედო და სახელოსნო მცირე წლოვან დანაშაულთა კოლონიის თანხების გასაძლიერებლად

22 ნოემბერს 1902 წ.

გამართული იქნება

ბ ა ლ ი

საკონცერტო და სალიტერატურო განყოფილებებით.

მონაწილეობას მიიღებენ ბევრი გამოჩენილი არტისტი და მოყვარულნი: ქალნი-მომღერალნი, მომღერალნი, წამკითხველნი და მემუსიკენი.

„კრუჟოკ“-ის დარბაზები მორთული იქმნება. ანტრაქტებში კოლონიის მოსწავლეთაგან შედგენილი მემუსიკეთა დასი დაუკრავს. დაწვრილებითი ცნობები აფიშებში იქნება გამოცხადებული.

შესავალი ფასი 2 მან. 10 კ.

ყოველ პრემიას დიდი მადლობით მიიღებენ.

კონცერტი დაიწყება საღამოს 8 საათს, ბალი—10 საათს.

დიასახლისი ბალისა, სატუსაღო ქალთა-კომიტეტის თავმჯდომარე **ლ. ზვეჩინისა.**

ბილეთები იყიდება: საზოგადოების წევრებთან: ა. ს. ფრენკელთან (გრიბოედოვსკაია, 33), ა. პ. მირონოვიჩთან და ა. ა. მაქსიმოვიჩთან (სამოსამართლო პალატა), ლ. ბ. ხიდეკელის წიგნის მაღაზიაში, ლოტის საკონდიტეროში (დვორცოვი ქუჩა) და „ტფილისის კრუჟოკში“. (3—მ.—1)

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, № 38. (წლ.)

ექიმი

ვ. ს. მუსხელაშვილი

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს დილით 12—2 ს. ყოველ დღე, გარდა სამშაბათისა. წყნეთის ქუჩა № 24 სახ. ვაჩნაძისა. (წ).

ქართველ თავად-აზნაურთა თეატრი

(ტელეფონი № 617)

დღეს, შაბათს, 9 ნოემბერს, ხარკოვის საოპერო დასის მიერ

ბ. ბროჟეი-მუტინის მონაწილეობით

წარმოდგენილი იქნება

ტრუბადური

ოპერა 4 მოქმ. და 8 სურათად მუსიკა ვერდისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ზორინისა, კარამზინ-ჟუკოვსკისა, სკორუბსკისა; ბ-ნნი ვასილიევი, ბროჟი-მუტინი, პეტროვი, პევცოვი, სვობოდინი და სხვანი. **კაპელმეისტერი** ლ. პ. შტეინბერგი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

კასსა ღიაა დილის 10-დან ნაშუადღევის 3 საათამდე და საღ. 6 საათიდან წარმოდგენის გათავებამდე. ფასები დაკლებულია.

ხვალ, კვირას, 10 ნოემბერს, ბ-ნთ ბონაჩიჩისა და ცნობილ არტისტ-ქალის მ. ნ. ინსაროვის მონაწილეობით, წარმოდგენილი იქმნება „კარმენ“.

საოპერო დასი დარჩება მხოლოდ 15 ნოემბრამდე.

მთავარი რეჟისორი **ივ. ფითოევი.**

(ნ. 0—39)

ტფილისის კერძო სამკურნალო

გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ნ. ტ. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.

ვ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი 9—10 საათამდე.

ზ. ზ. მალალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

ლ. ი. ქამოევი.—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფობისათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11-მდის.

დ. ა. გედევანიშვილი, შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

მ. მ. მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: სამშაბათობით და პარასკეობით 1—2 კვირაობით 10—11.

ა. ზ. ბარსუქოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათამდე.

ზ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანის-და საშარდესი 1—2 საათამდე.

ბრ. მ. ხობოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ა. ზ. მალალაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.) მასაჟი და საექიმო, გიმნასტიკა“ ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 6 ს.—8 საათ. საღამოს.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოტები—სამი მანათიდამ ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (აგზალის ქუჩის დასაწყისში).

ტელეფონი № 274. (წლ).

ექიმი

ალექსანდრე გიორგის ძე

მალალაშვილი

(მიხეილის ქუჩა, 30.—ტელეფონი 450).

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილით 10—1 საათამდე და საღამოთი 6—8-მდე.

ექიმი

ვ. ლამბაშიძე

იღებს შინაგან და ბავშვთა ავადმყოფებს დილის 10—11 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642.

ბათუმის საქალაქო არჩევნების გამო

—

ხვალ ბათუმმაც უნდა აირჩიოს ახალი ხმოსნები. თუ დავუჯერებთ გაზეთების ცნობებს, ამის გამო აგიტაცია უკვე კარგა ხანია დაიწყო ბათუმში და პარტიები კვლავ ნაციონალურ ნიადაგზე გროვდებიან. ამომრჩეველთა უმრავლესობას, როგორც წინადაც, ქართველები შეადგენენ; მათ მოსდევენ სომხები, შემდეგ რუსები, ბერძნები და სხვანი. ქართველების უმრავლესობა იმდენად დიდია, რომ ყველა დანარჩენი ამომრჩეველნი რომ შეერთდნენ, ქართველ ამომრჩეველთ მხოლოდ ცოტათი გადააჭარბებენ (388 წინაამდეგ 326-სა). ეს გარემოება გვეუბნება, რომ ქართველები მომავალ საბჭოშიაც უმრავლესობას შეადგენენ, რადგან ძნელი დასაჯერებელია—ყველა დანარჩენ ერების წარმომადგენელნი შეერთდნენ ქართველთა წინაამდეგ.

ძნელი დასაჯერებელია ამგვარი საერთო ამხედრება ქართველთა წინაამდეგ იმიტომ, რომ ყველა მიუდგომელ და კეთილ-სინდისიერ ამომრჩეველთათვის ცხადია—ქართველ უმრავლესობისაგან შემდგარ საბჭოს არაფერი დაუშავებია სხვა ერების წინაშე და, რამდენადაც გარემოება ხელს უწყობდა, ეს საბჭო მხნედ და პატიოსნად ემსახურებოდა ქალაქის საერთო საზოგადო ინტერესებს.

როგორც მკითხველთ ემახსოვრება, ბათუმის ახლანდელი საბჭო განსაკუთრებულ გარემოებებში დაიბადა და მუშაობდა. წინად და ოთხის წლის წინადაც, საქალაქო არჩევნების დროს, ბათუმში მეტად გამწვავდა ბრძოლა და ერთა შორის დიდი განხეთქილება-შეტაკება მოხდა. ქართველთა წინაამდეგ ამხედრდნენ სომხები და რუსები. სასტიკის ბრძოლის შემდეგ ქართველებმა გაიმარჯვეს, მაგრამ, მათდა სასახელოდ, უნდა ვთქვათ, შოვინიზმს არ აჰყოლიან და ცალმხრივობა არ შეუტანიათ საქმეში: საბჭოშიაც საკმაო რიცხვი არა ქართველთა აირჩიეს და შემდეგაც, მოღვაწეობის დროს, არ უხელმძღვანელნიათ ვიწრო ეროვნულ ინტერესებით. დაუძინებელი მტერი ბათუმის საბჭოს უმრავლესობისა, ბ. პალმი, ბევრს ცდილობდა დაემტკიცებინა ასეთი ცალმხრივობა, ბევრს რასმეს ეპოტინებოდა ამის გამომჟღავნებისათვის, მაგრამ ამაოდ: ყოველთვის თავის თავს ირცხვენდა მხოლოდ, „ქართველთა საბჭო“-კი პირნათლად გამოდიოდა. ჩვენ მკითხველთ უთუოდ ახსოვთ ყველა ის „ფაქტები“, რომელნიც ხელზე დაიხვია პალმმა და ამხ., რათა ვიწრო „პარტიობა“ დაეწამებინათ ბათუმის გამგეობისა და საბჭოს უმრავლესობისათვის, მაგრამ ვერას გამხდარან: ცილისწამება და ხრიკი გამომჟღავნებულა და შერცხვენილნი ისევ პალმი და მისი თანამოაზრენი დარჩენილან.

ეს ვაჟბატონები ოთხის წლის განმავლობაში კრიჭაში უდგნენ ბათუმის გამგეობასა და მის მომხრე უმრავლესობას; თვალ-ყურს ადევნებდნენ ყოველ ნაბიჯს და თავის „კრიტიკით“ და სხვაგვარ ოინებით ხელს უშლიდნენ, მაგრამ ვერასოდეს ვერ ნახაყენეს ისეთი რამ სერიოზული შეცდომა, რომელიც თვალსაჩინო ბრალსა სდებდეს გამგეობის მოღვაწეობას. ამაში დაგვეთანხმება ყველა, ვისაც ჩვენსავით არა სასიამოვნო მოვალეობა აწვა კისერზე—„ჩერნომ. ვესტნიკ“-ის ყოველ დღე გადაკითხვა. ამ გაზეთში ყოველდღე იწერებოდა და იწერება გამგეობისა და საბჭოს უმრავლესობის წინაამდეგ, მაგრამ ვერაფერს სერიოზულს, ვერაფერს ღირს-შესანიშნავს ვერ იპოვით ამ „ოპპოზიციაში“. გაზეთიდგან უბრალო უქტების, უადგილო და უაზრო ლანძღვა-ლაზღანდარობა, ან რამე ხრიკი—აი რაში გამოიხატებოდა ამ გაზეთის „ოპპოზიცია“!..

როგორც ვთქვით, ბათუმის გამგეობა-საბჭომ, რომელსაც ხელს უწყობდა, კარგი სამსახური გაუწია ქალაქს. ჩვენის გაზეთის მკითხველს შემთხვევა ჰქონდა კარგად ედევნა თვალ-ყური ბათუმის თვითმმართველობის მოღვაწეობისათვის, რადგან საკმაო ადგილს ვუთმობდით ამ მოღვაწეობის მაშუქებას. ამიტომ აქ დაწვრილებით არ შევუდგებით მისს მოქმედების განხილვას, აღვნუსხავთ მხოლოდ რამდენიმე საყურადღებო საქმეს.

განათლების საქმის გასაუმჯობესებლად თვით-მართველობის ინიციატივით, მეცადინეობით და მატერიალურის დახმარებით დაარსდა სავაჭრო და საქალებო გიმნაზიები, გაიხსნა პირველ დაწყებითი სასწავლებელი; შემწეობა ეძლევა ბიბლიოთეკასა და სხვა-და-სხვა განმანათლებელ დაწესებულებებს; მცხოვრებთათვის საქმით დახმარების მისაწოდებლად დაარსდა საქალაქო საავადმყოფო; ცხოვრების პირობათა გასაადვილებლად დაწესდა ხორცის საქალაქო დუქანი, რითაც დაიწყო საქალაქო საქმეების მუნიციპალიზაცია; ქალაქის გარეგან მოწყობა-განკარგებისათვის შემოღებულ იქმნება ელექტრონული განათება და მოიკირწყლა ქუჩები; გაშენდა აგრეთვე საქალაქო სახლი და სხვა-და-სხვა.

მარტო ეს აღნიშნული საქმეები რომ გავიხსენოთ, უნდა ვთქვათ—ბათუმის თვითმართველობა გასულ 4 წლის განმავლობაში მხნედ მოღვაწეობდა და საზოგადო საერთო ინტერესებს იცავდა. თამამად შეგვიძლია აღვიაროთ, რომ, წინაამდეგ პალმისა და ამხ.-ის წინასწარმეტყველება-ყაყანისა, ბათუმის გამგეობამ და მისმა მომხრე უმრავლესობამ გაამართლეს ამომრჩეველთა იმედები და ამიტომაც ვთქვით ჩვენ ზემოდ, რომ დაუჯერებელია ახლა ეს ამომრჩეველნი ამხედრდნენ და შეკავშირდნენ „ქართველ საბჭოს“ წინაამდეგ. მით უმეტეს მოულოდნელია ამომრჩეველთა ამ გვარი ამხედრება, რომ ამისათვის ამომრჩეველთ იწვევენ ბრძოლის ველზე ბ. პალმი და მისი დამქაშნი, რომელნიც ყოველგვარ თვით-მოქმედებისა და თვით მართველობის დაუძინებელნი მტერნი არიან.

საზღვარ-გარედ

საფრანგეთი. „ინდეპანდანს ბელჟ“-ი იუწყება: „პალატის წევრთა შორის ამგვარი ხმა დადის. პირველ-მინისტრის მეგობრები ამბობენ: კომბი ძლიერ დაიღალა და იქნება სამსახურიდან გადადგესო; პირველი მინისტრი თითონვე ამბობს: ბევრი-ბევრი მომავალ აპრილამდე დავრჩე მთავრობის მეთაურადაო. ამის გამო კომბის ვაჟი-შვილი—შინაგან საქმეთა სამინისტროში უფროსის მდივანადაა—ეხლა სხვა თანამდებობის ძებნას შეუდგაო: პარიზის პოლიციის პრეფექტის ადგილს ნდომობსო“.

✦ „საფრანგეთის სამშობლო“ ნაციონალისტთა ლიგამ ამ დღეებში დიდი ნადიმი გამართა. ნადიმს ყველა გამოჩენილი ნაციონალისტი დაესწრო: სენატორები, დეპუტატები, ქალაქის საბჭოს ხმოსნები და ჟურნა-

ლისტები. ნადიმის თავმჯდომარედ ჟიულ ლემეტრი იყო. თავმჯდომარემ სიტყვა წარმოსთქვა საფრანგეთის ეხლანდელ პოლიტიკურ მდგომარეობაზე. ორატორის აზრით, საფრანგეთი საზარელ მდგომარეობაშია ჩავარდნილი; რომ უარეს განსაცდელში არ ჩავარდეს, საჭიროა პლებისციტი დაწესდეს და კონსტიტუციის წესები შეიცვალოსო. ლემეტრის შემდეგ სამხედრო მინისტრად ნამყოფმა კავენიაკმა ილაპარაკა, მაგრამ ამ ორატორმა ლემეტრივით გაბედულად ვერ ილაპარაკა. კავენიაკმა გამოაცხადა: პლებისციტისა და კონსტიტუციის შეცვლის დრო ჯერ არ მოსულაო. ყველას გვსურს მმართველობის წესების გამოცვლა, მაგრამ ამ ჟამად არ შეგვიძლია ზედ მიწევნით აღვნიშნოთ, თუ ახალი მმართველობა რა ნაირი დაწესდეს და კონსტიტუცია რა ნაირად შეიცვალოს. სხვისა არ ვიცი და მე კი ჯერ მომზადებული არა ვარ ამ საქმისათვისაო.“

✦ 31 ოქტომბერს, პალატის სხდომის დროს, კორიდორში, ზედა ლოჟებში ასავალთან, რევოლვერი გავარდა. დეპუტატები დარბაზიდან კორიდორში გაცვივდნენ და დაინახეს, რომ ერთი ჯარის-კაცი რევოლვერს იქნევდა და ჰყვიროდა: „სამშობლოს გაუმარჯოს!“ სანამ დარაჯები დაიჭერდნენ, ჯარის კაცმა ხუთ-ჯერ დაჰცალა რევოლვერი; ვერავის კი ვერ მოახვედრა. როცა დაატუსაღეს, გამოაცხადა: გვარად მორისი ვარ; მინდოდა რეაქციონერებისათვის პროტესტი გამომეცხადებინა, რადგანაც რეაქციონერებმა სათადარიგო ჯარის კაცებისათვის ყოველ წლიური ვარჯიშობა დააწესესო. მორისი, ეტყობა, სულით ავადმყოფია.

ინგლისი. ირლანდიის დედა-ქალაქ დუბლინში ერთის მეტად საინტერესო საქმის გარჩევა გაათავეს. ამ საქმეს დიდი პრინციპიალური მნიშვნელობა აქვს. იქაური მედუქნე ო'კიფი ირლანდიის შეერთებულ ლიგის რამდენსამე წევრს 20 ათას გირვანქა სტერლინგს ედავებოდა: ხსენებულ წევრების ჩაგონებით, ხალხმა ჩემს წინააღმდეგ ბოიკოტი გამმართა და ამით 20 ათას გ. ს. ზარალი მომეცაო. ო'კიფმა რამდენჯერმე წააგო ეს დავა, მაგრამ ეხლა კი მოუგია; სასამართლოს გადაუწყვეტია: ირლანდიის შეერთებულ ლიგის წევრებს ო'კიფის სასარგებლოდ 5,500 გირ. სტ. გადაჰხდეთო.

✦ „დეილი ნიუს“-ი იუწყება: ხმა დადის, იმპერატორ ვილჰელმი, ლონდონში ყოფნის დროს, ინგლისის მთავრობას ჩინეთის თაობაზე მოელაპარაკაო; იმპერატორმა სთხოვა ინგლისის მთავრობას, იანძეკიანგის ველში გერმანიასაც დაუთმეთ ზოგიერთი უფლებაო, სამაგიეროდ გერმანია ხელს არ შეუშლის ინგლისს, პორტუგალიის აფრიკაში დელაგოას ნავთ-სადგური გამოართვასო. ლონდონის პოლიტიკური წრეები ბეჯითად უარსჰყოფენ ამ ხმას.

✦ პირველ მინისტრად ნამყოფი ლორდ სოლსბერი სამხრეთ-საფრანგეთში იყო წასული მოსარჩენად, ამას წინად კი ლორდი მოულოდნელად ინგლისს დაბრუნდა. ლონდონში ამბობენ, პირველ-მინისტრად ნამყოფი ბალფურმა გამოიწვიაო. იმპერატორი ვილჰელმი და პორტუგალიის მეფე ლონდონში ზოგიერთ დიდ საერთაშორისო საქმეზე მოსალაპარაკებლად მოვიდნენ და ბალფურსაც სწორედ ამ საქმეების თაობაზე რჩევა უნდა ეკითხნა ლორდ სოლსბერისათვისაო.

ავსტრო-უნგრეთი. ავსტრიის რეიხსრატის უკანასკნელ სხდომის დროს უფრო უარესი შფოთიც მომხდარა. დეპუტატები ლანძღვა-გინებას აღარ დასჯერებიან, და ნამდვილი ჩხუბიც გაუმართავთ.

პარლამენტს ერთს დაუყოვნებლივ წინადადებაზე ჰქონდა სჯა. ეს წინადადება იმაზე იყო შეტანილი, თუ რკინის გზებზე სად რა ენა იხმარებოდესო. პანგერმანისტმა ნავაკმა პროტესტი გამოაცხადა; სხვა-და-სხვა ადგილებს ჩეხები გერმანულ სახელების მაგიერ ჩეხურ სახელებს არქმევენო. ჩეხმა ეიხშტედტერმა პასუხის მიგება მოიწადინა, მაგრამ პანგერმანისტებმა ლანძღვა დაუწყეს და ლაპარაკი შეაწყვეტინეს. შტეინმა დაიყვირა: „რეგვენები ხართ“! ჩეხებმა ამნაირსავე ლანძღვით უპასუხეს, მაგრამ მალე ლანძღვასაც არ დასჯერდნენ. ჩეხი ზეინალი გერმანელს გრესტლს შეეკამათა და მიაძახა: „გერმანული ლორი ხართ“!—„ეს გასაოცარი თავხედობააო“,—დაიყვირა გრესტლმა და თავის მოწინააღმდეგეს ეცა. მართალია გრესტლი დაიჭირეს, მაგრამ ყველგან ჩეხები და გერმანელები მაინც ერთმანეთს ეტაკნენ. პანგერმანისტების მეთაური შენერერი ძლიერ ღონიერი კაცია—ხელად წინ მოექცა ყველას, ზეინალზე ხელი მიიშვირა და დაიყვირა: „წააქციეთ, დაჰკარით!“ ნამდვილი კრივი გაიმართა. ჩეხებს უკან დააწევინეს: ზენალი სკამიდან თავდაყირა ძირს გადავარდა და კიბის საფეხურებზე დაგორდა; გზაში გერმანელ ლეხერს დაეტაკა და წააქცია. მოჩხუბრები ერთმანერთს მუშტით სცემდნენ; ყველანი აშფოთდნენ და ჰყვიროდნენ. ვინც ჩხუბში მონაწილეობას არ იღებდა, იძახოდა: „სირცხვილია, სირცხვილი! ფუი!“ გალერეიებზე საზოგადოება აღელდა. პალატის თავსჯდომარე და იმისი თანაშემწე მოჩხუბრების დასამშვიდებლად მივიდნენ. სხვა დეპუტატებიც გაჰქანდნენ გასაშველებლად. მაგრამ მოკრივენი თითონ გაშველდნენ: დაწითლებულნი, აწეწილის თმით ესენი წინ მიიწევდნენ და ბრალიანსა, თუ უბრალოს, ყველას, ვინც შეჰხვდებოდათ, მუშტს უშენდნენ. პალატაში წესიერება ძლივს-ძლივობით აადგინეს და მოჩხუბრები თავ-თავის ადგილას დასხეს. მაგრამ ესენი კიდე დიდხანს ვერ დაშოშმანდნენ: კიდე კარგა ხანს ამკობდნენ ერთმანერთს ლაზათიანის სიტყვებით.

ბოლოს, როცა გინებაც შესწყდა, თავმჯდომარე თავის ადგილს დაჯდა და ნაცემ ჩეხს ზეინალს შენიშვნა მისცა „გერმანულ ლორის“ თქმისათვის. ამ შენიშვნამ ახალი შფოთი მოახდინა. ჩეხებმა გამოაცხადეს: ზეინალს უსამართლოდ მიეცა შენიშვნაო და პროტესტის ნიშნად ყვირილი დაიწყეს, მაგრამ ამ არეულობამ დიდხანს არ გასტანა და პალატა კამათს შეუდგა. ეგ არის, ყველანი ძლიერ აღელვებულნი იყვნენ, ეშინოდათ, ჩხუბი კიდე არ მოხდესო და პრეზიდენტმაც საჩქაროდ სხდომა დახურა.

იტალია. შეურიგებელ სოციალისტების მეთაურს, დეპუტატს ფერის ნეაპოლის გაზ. „პუნგოლო“-ს რედაქტორთან საუბარი ჰქონია და გამოუცხადებია: რამწამს პარლამენტის სესია დაიწყება, სოციალისტები სხვა-და-სხვა გარემოების მიზეზით იძულებულნი იქმნებიან სამინისტროს მომხრე უმეტესობას მოჰშორდნენ. მთავრობამ კანდელსა და ჯაროტინში მომხდარ მანიფესტაციების დასაშლელად ძალა მოიხმარა. ამის თაობაზე პალატაში დეპუტატები მთავრობას დაეკითხებიან და განა სოციალასტებს შეუძლიანთ ამ საქმეშიაც მთავრობის მხარე დაიჭირონ. ბევრი სხვა საქმეც არის, რომ მთავრობასა და სოციალისტებს უსათუოდ უთანხმოება მოუვათ. მაგალითად, მთავრობა და იმისი უმეტესობა, სხვათა შორის რადიკალებიც, სამხედრო ხარჯებზე ხმასაც არ იღებენ, სოციალისტები კი ბეჯითად თხოულობენ, სამხედრო ხარჯებს მოაკლდესო.

ახალი ამბავი

✦ **„ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების“** გამგეობამ მიჰმართა თვის აგენტებს საქართველოს ყველა კუთხეში შემდეგის თხოვნით: „უმორჩილესად გთხოვთ, როგორც საზოგადოების დამხმარებელ წევრს, დაგვეხმაროთ, შეჰკრიბოთ მანდაურ წევრთა შორის ამა 1902 წლის საწევრო ფული და გამოგვიგზავნოთ, რაც შეიძლება მალე, რადგანაც საზოგადოება, უსახსრობისა გამო, ძლიერ შევიწროებულ მდგომარეობაში იმყოფება. თუ ერთად არ შეუძლიანთ წევრებს საწევრო ფულის გარდახდა, შეუძლიანთ ნაწილ-ნაწილად შემოიტანონ“. იმედია, საზოგადოების წევრნი ეხლა მაინც გაიხსენებენ მოვალეობას და ხვედრ ფულს დროზე შეიტანენ.

✦ ტფილისის ქალაქის გამგეობამ უკანასკნელს სხდომაზე, სხვათა შორის, განიხილა ქალაქის საქმეთა საგუბერნიო საკრებულოს გადაწყვეტილება **დამატებით ხარჯთ-აღრიცხვის** შესახებ. საკრებულოს შესაძლებელად უცვნია დამატებით ხარჯთ-აღრიცხვიდან გამოირიცხოს 12000 მან.; აქედან 8000 მან. გადადებული იყო პუშკინის სახელობაზე წიგნთ-საცავის დასაარსებლად და 4000 მან. გოგოლის ძეგლის დასადგმელად. რადგანაც ეს საქმეები საჩქარო არ არის საკრებულოს აზრით შეიძლება ეს ფული მომავალ 1903 წლის ხარჯთ-აღრიცხვაში იქნას შეტანილი. გამგეობამ გარდასწყვიტა წარუდგინოს იგი განსახილველად საბჭოს.

✦ 7 ნოემბერს ქალაქის გამგეობამ განიხილა ხარჯთ-აღრიცხვა ხორცით სავაჭრო ახალ დუქნების ასაშენებლად და გადასწყვიტა ეხლავე **შეუდგეს ვერაზე და ავლაბარში დუქნების მოწყობას.**

✦ გუშინ შეერთებული კრება ჰქონდა ქალაქის გამგეობასა და იმ კომისიას, რომელსაც მინდობილი აქვს **სოლოლაკის მთაში გვირაბის გაჭრის** საქმე. წინანდელ კრების ოქმი წაიკითხეს და კომისიის წევრებმა: თავ. ბებუთოვმა, ბ-ნთ კოჩორიანცმა და ბაბოვმა ოქმს ხელი არ მოაწერეს, რადგან იქ ისე არ არის მოხსენებული ტრამვაის ლიანდაგის გვირაბში გაყვანა, როგორც კრებაზე გამოცხადებული იყოო. შემდეგ კომისია იმ პირობის განხილვას შეუდგა, რომლითაც ქალაქი უნდა შეეკრას კონცესიონერებს. მოასწრეს სამი მუხლის გასინჯვა; ამათგან ერთმა გამოიწვია დიდი ბაასი—გვირაბით ქვეითა მიმავალთ გადახდეთ გადასახადი, თუ არაო. ბოლოს ისე დაადგინეს, რომ ჯარში დაბალ მოსამსახურეთ და მოსწავლეთ ფული არ გადახდეთო. დანარჩენს შემდეგ განიხილავენ.

✦ მიწათ-მოქმედების **სამინისტროს ცნობები მოუთხოვია** ტფილისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა სამმართველოსაგან შესახებ იმისა, შესაძლებელია თუ არა ბორჩალოს მხარეს ისეთ მცენარეთა გაშენება, რომელთაგან ეფირის ზეთი გამოიხდებაო. ლორისის მხარეს სახელმწიფო ტყეების გამგეს ბ-ნ კაზლოვსკის რამდენიმე წელიწადია დაუწყია ამ მცენარეთა მოშენება და ამის შესახებაც ცნობებსა თხოულობს თურმე სამინისტრო.

✦ **ჭიათურიდან გვწერენ:** შავის ქვის მწარმოებელთა საბჭომ უკვე დაამთავრა აბანოს მოწყობა. საბჭომ ქუთაისიდან მოიწვია განსაკუთრებული კომისია, რომელმაც უნდა გასინჯოს აბანო და ჩააბაროს საბჭოს. მოქმედებას აბანო დაიწყებს 15 ნოემბრიდან. მშრომელ ხალხს მეტად დიდ სარგებლობას მოუტანს ეს აბანო. საზოგადო განყოფილებაში ფასი მუშებისათვის ერთი შაურია: აბანო დაჯდა 70,000 მანეთი.

✦ გუშინ, 7 ნოემბერს, **ტფილისის ქალაქის გამგეობა** შეეკითხა პეტერბურგისა, მოსკოვისა, კიევისა, ოდესისა და ხარკოვის ქალაქის გამგეობებს, არსებობს თუ არა ამ ქალაქებში წესები შეშით ვაჭრობის შესახებ? ქალაქის გამგეობა შეუდგა სავალდებულო დადგენილებათა შემუშავებას შეშით ვაჭრობის განსაწესრიგებლად.

✦ უსახელო საზოგადოებამ ტფილისის ტრამვაის საერთო შემოსავლიდან **ქალაქს უნდა აძლიოს** პირობის ძალით ყოველ წელიწადს გადაჭრილი პროცენტი. გასულ წლის ანგარიშში „საზოგადოებამ“ ქალაქს გამოუგზავნა 1500 თუმანი, დანარჩენს, თუ გერგებათ, მაშინ მიიღებთ, როცა ქალაქის კომისია ჩვენ დავთრებს გადასინჯავს და შემოსავლის რაოდენობას გამოიკვლევსო. კომისიას გადაუსინჯავს ყველა დავთრები და ისე უაიგარიშნია, რომ ქალაქს კიდევ ერგება საზოგაოოებისაგან 400 თუმანზე მეტიო. „საზოგადოების“ წარმომადგენელნი ამტკიცებენ, რომ კომისიამ გაყიდულ ინვენ-

ფელეტონი

შვეიცარიის სოფელი *)

(მგზავრის შენიშვნები)

სოფლიდან სამნი გავედით ფეხით. სანამ სოფელს გავსცდებოდით, საჭიროა გავიდეთ აქაურს მთის მდინარე ზიმენზე, რომელიც თავის ყვირილით გარშემო მიძინებულ ბუნებას აფხიზლებს. მისი უზარმაზარ ლოდებით სავსე კალაპოტი ამტკიცებს, თუ რა ძალის პატრონიც უნდა იყოს. წყალ-დიდობის დროს შეუძლია მთლად მოსთხაროს მანდაურობა და ერთიანად წაართვას სოფლელთ რაც ვაკე ადგილი გააჩნიათ. სხვა ქვეყნებში, მთის მდინარენი მართლა რომ ღვთის რისხვას ატრიალებენ სოფლელების თავზე. მიაქვსთ სახნავ-სათესი ადგილები, წისქვილები, მთლად გლეხის ქონება და ერთის დღის წინად აშენებული ოჯახი რამდენისამე საათის განმავლობაში მშრალზე რჩება. განა მარტო ერთ წელიწადს, სამუდამოდ, ამიტომ რომ სახნავ მიწის ალაგას ნაწყალდიდობევს რიყეს-ღა ხედავთ, ლოდით მოფენილს... ასე ანადგურებს სტიქიონი ჩვენში სოფელს. აქ, შვეიცარიაში? სრულებით სხვა სურათსა ხედავთ. ადამიანს აქ ბუნებაც კი დაუმორჩილებია, მისთვისაც აუღვია სალავე, მის თვით-ნებობისათვის საზღვარი დაუდვია. მთელი მდინარე ტბის შესართავიდან სათავემდე, ხშირად 30—40 კილომეტრის მანძილზე, ორ კედელს შუა მოქცეული. ისეთის ოსტატობით არის მდინარის ორივე ნაპირი ამოქვითკირული, რომ, რაც უნდა წყალდიდობა იყოს, არ შეუძლია ერთის მანეთის ზარალი მიაყენოს მემამულეს. ამდენს შრომას, ამდენს ხარჯს აქაური გლეხი იმიტომა სწევს, რომ ძვირად აფასებს ყოველ ფეხის დადგმა მიწას, სადაც ოფლი დაუღვრია, სადაც თუნდაც ერთის ბულულის თივის მოთიბვა ან ორიოდ კომბოსტოს მოყვანა შეუძლია. ერთხელ გაუკეთა ეს კედელი მდინარეს, ბევრიც დახარჯა, მაგრამ სამაგიეროდ მისი გაკეთებული მკვიდრი საშვილიშვილოა.

ჩვენში თუ სთქვი წყალს გაღმა ვარო, ეს იმასა ნიშნავს, რომ მოწყვეტილი ხარ ჭირსა და ლხინში წყალ-გამოღმელებს, რადგან შუაში გყოფსთ მდინარე. და როცა მდინარეს ვახსენებთ, უეჭველად უხიდო დაუსველებლად ან და უხიფათოდ გაუვალი წყალი უნდა წარმოვიდგინოთ. შეხედეთ შვეიცარიელს. ამას მდინარე უხიდოდ ვერ წარმოუდგენია. ყოველს ორს კილომეტრზე რკინის და ქვითკირის ხიდია გადებული, აქაურს მდინარეზე ადვილია გასვლა-გამოსვლა როგორც წყალ-დიდობაში, ისე წყალ-ნაკლობაშიაც. შვეიცარიელი რომ გაჩენილა, პირველად სასოფლო გზები და მდინარეებზე ხიდები გაუკეთებია. გახვალთ მდინარეზე თუ არა, აჰყვებით მშვენიერს საძოვრებს, საშემოდგომოდ შემოღობილებს. ზედ საქონელს ზაფხულში ვერა ნახავთ, რადგან უმეტესობა საქონლისა მოშორებით მთაზეა გალალული. აქა-იქ ამ საძოვრებზე შეხვდებით ხის ბინებს საქონლისა და მწყემსებისათვის. აქა რჩებიან შემოდგომაზე, როცა ენკენისთვის გასულს მთებზე თოვლს დასდებს და გაჩერება არ შეიძლება. საქონელსაც და მწყემსსაც შიგ თბილად შეუძლიათ ყოფნა, შიგ ბუხარიცაა და მწყემსთათვის ოთახები და ლოგინი. ასეთს ბუნებას მწყემსებისას აქ შალეს ეძახიან.

—

ცოტა არ იყოს, ვიწრო საურმე გზას, აღმართ-აღმართ მიმავალს, აქაურს ნაძვნარში შევყევართ. ტყის სიგრილესთან ერთად სიამოვნებასა გვგვრის თვით ტყის ცქერაც. შიგ ერთი წაქცეული და დაჭიანებულ ხეს, ნაფოტი ან ფიჩხი რა არის, ვერ დაინახავთ. ისე გასუფთავებული და გამოწმენდილია ძირს, გეგონებათ სადმე ქალაქის ბაღში ვართო. გლეხი ხეს მოსჭრის თუ არა, თან მიაქვს ყველაფერი, რაც კი ხეს დასცვინდება. ჯერ ერთი, შეშად ადგება ოჯახში და მეორეც, ტყეში ჩარჩენილი და დამპალი ხის ნაწილები არ აჩენს ქიას, რაც ეგრე უწყალოდ აჩანაგებს ჩვენებურს ტყეებს. მერე თვით ტყის ხმარებაშიაც მეტად, მეტის-მეტად წინ-დახედულნი და გამომზოგველნი არიან. არ შეიძლება ახალ-მოზარდს და დაუმწიფებელს ტყეს ხელი ახლონ. რასაც მოსაჭრელად დაინახავენ, ზომიერად ხარჯავენ, რიგსა და წესზე. ამიტომ რომ იციან, თუ უზრუნველად და უწეს-რიგოდ გასჩეხეს ტყე, იმ წელიწადს კი ექმნებათ მასალა, მაგრამ შემდეგში უტყეოდ დარჩებიან და გარდა ამისა, მოტიტვლებულ ნიადაგს ნიაღვარი ისე ჩამორეცხს, რომ არამც თუ ხეს, ბალახსაც კი არ ამოაყოფინებს თავსა. ასეთი გამოზოგვა და წინდახედულობა შვილიდან შვილზე გადადის. და კიდეც იმიტომაა, რომ შვეიცარიელნი თავისს ქვეყანაში ამდენი საუკუნოებია სცხოვრობენ, მაგრამ თავის სამყოფი ხე-ტყის მასალა და შეშა გამოულეველი აქვსთ და ექმნებათ კიდეცა. საცა ტყე მოსპობილა, ახალს აშენებენ. მართალია, ეს ახალი ტყე მათ ვერ მოუსწრებს, მაგრამ მათი შვილები, შვილის-შვილები მაინც დასტკბებიან თავის მამების ნაშრომითა, მათს ხსოვნას ლოცვა-კურთხევით მოიხსენიებენ და მათი ნამოქმედარი სამაგალითოდ ექმნებათ.

—

გზა თან-და-თან ვიწროვდება. მაგრამ მრავალ მიხვეულ-მოხვეულების წყალობით სია-

---

*) იხ. „ცნ. ფურც.“ № 1976.

ტარიდან აღებული ფულიც ტრამვაის მოქმედების შემოსავლად იანგარიშა და ეს უმართებულოდ მიგვაჩნია. ეს საგანი სადაოდ გაჰხდომია კომისიასა და „საზოგადოების“ წარმომადგენელთ და ამის გამოსაკვლევად ქალაქის გამგეობას უნდა იურისტებს დაეკითხოს, როგორ უფრო მართებულად ჩაითვლება საერთო შემოსავალის ანგარიშში.

◆ გუშინ-წინ კრება ჰქონდა იმ კომისიას, რომელიც სამეურნეო საზოგადოებამ აირჩია **პურით ვაჭრობის გაწესრიგების** საქმის გამოსარკვევად. კომისიამ, ბ-ნ სულტან-კრიმ-გირეის თავმჯდომარეობით, მოისმინა მოხსენება ი. ა. თაიროვისა, რომელიც ამტკიცებდა დამზღვევ საზოგადოებათა სინდიკატების მეტად ცუდ ზედგავლენას პურით ვაჭრობაზე. ამ მოხსენების შემდეგ კომისიამ სთხოვა თავმჯდომარეს, მოითხოვეთ ფინანსთა სამინისტროსაგან ხსენებულ სინდიკატის შესახებ ცნობები და აგრეთვე ისიც, თუ რამდენს იღებს ეს სინდიკატი პურის დაზღვევა გარდასახადსაო. ამ ნაირის ცნობებით შემდეგში უნდათ მინისტრისაგან განკარგულება გამოითხოვონ, რომ პურის დაზღვევისათვის შეღავათი შემოიღონ.

შემდეგ მოისმინეს პ. ს. ღამბაროვის მოხსენება ჩვენს ქვეყანაში კოოპერაციულ ამხანაგობათა დაარსების შესახებ. ბ-ნმა ღამბაროვმა ის აზრი გამოსთქვა, რომ ჩვენი ხალხი მოკლებულია იმ პირობებს, რომლის შემწეობით მხოლოდ შეიძლება ამისთანა ამხანაგობების განვითარება. ამისათვის საჭიროა, ჯერ საზოგადო ცხოვრების პირობანი შეიცვალოს და ხალხში თვითმოქმედების სურვილი გავაღვიძოთ, რომ კოოპერაციებმაც ფეხი მოიდგან და განვითარდნენ ხალხის ცხოვრებაშიო. კოოპერაციების დაარსებაში მარტო ამათ დამაარსებელთ უნდა იკისრონ ყოველივე და საქმეს გაბედულად მოჰკიდონ ხელი, მთავრობისაგან ნივთიერ შემწეობას კი თავი დაანებონო.

კომისიამ მაინც მოიწონა და სასარგებლოდ სცნო ჩვენ ხალხში სამეურნეო კოოპერაციათა დაარსება და ამ საქმეში მეთაურობაც სამეურნეო საზოგადოებამ უნდა იკისროს და მთავრობის მხრით საჭირო დახმარებაც გამოითხოვოსო.

◆ **პირუტყვთა მფარველმა საზოგადოებამ** ტფილისში გუშინ იდღესასწაულა 25 წლისთავი თავისს არსებობისა. პარაკლისი გადაიხადეს, შემდეგ აკურთხეს საკუთარი სახლი საზოგადოებისა რიყეზე, სადაც პირუტყვთა საავადმყოფოც იქმნება მოთავსებული. კავკასიის სამეურნეო საზოგადოებამ ცალკე დეპუტაცია გაჰგზავნა იუბილეს მისალოცად. სხვა-და-სხვა მხრიდან „საზოგადოება“-ს მისალოცი დეპეშები მოუვიდა.

◆ დღეისთვის დანიშნულია შეერთებული სხდომა ქალაქის გამგეობისა და იმ კომისიისა, რომელსაც დავალებული აქვს ტფილისში **ელექტრონის განათების** საქმეს მოწყობა. ამ სხდომაზე სპეციალისტების თანადასწრებით უნდა განიხილონ ტრამვაის კონცესიონერთა განცხადება ტფილისში საჰიდრავლიკო სადგურის აშენების შესახებ.

◆ ტფილისის **ქალაქის საბჭოს** შემდეგი კრება დანიშნულია 11 ნოემბრისათვის.

◆ „კავკაზ“-ს პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ, რომ მომავალის წლის იანვრის თვიდან კავკასიაში დაწესებული იქმნება **ჩაის მცენარის** გავრცელების საქმისათვის ცალკე ინსტრუქტორიო.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ 7 ნოემბრის სხდომაზე გარდასწყვიტა ღამის მეორე თავშესაფარის ზედამხედველად დანიშნოს ტერდავითიანცი. ქალაქის მოურავის მოადგილე თანახმა არ გახდა ამ დადგენილებისა: მისის აზრით, ზედამხედველად უნდა დანიშნოს ქალაქის საგაჭრო სამეურნეო პოლიციის აგენტი იდ. ჭუონია.

◆ დღეს, 9 ნოემბრისათვის, სამოსამართლო პალატაში განსახილველად სხვათა შორის დანიშნულია შემდეგი საქმეები: გარსევან თედეშვილისა და კოწია წულუკიძისა, რომელთაც მკვლელობა ჰბრალდებათ; ცხიდო გურულიშვილისა, რომელსაც შეურაცხების მიყენება ჰბრალდება; ბასილა ჯოშკარიანისა—კაცის მოკვლა ჰბრალდება.

◆ სამშაბათს, 12 ნოემბრისათვის, სამოსამართლო პალატაში, სხვათა შორის, განსახილველად დანიშნულია საქმე პორფილე ბადდავაძისა, რომელსაც ღვიძლის ძმის მოკვლა ჰბრალდება.

◆ 7 ნოემბერს ტფილისის ოლქის სასამართლომ გაარჩია საქმე ტფილისის მცხოვრების გიორგი ათაბეგოვისა, რომელსაც ჰბრალდებოდა ტფილისისავე მცხოვრების პატარა ბავშვის ანტონ ჟალკოვსკის გაუპატიურება. ოლქის სასამართლომ დამნაშავედ იცნო ათაბეგოვი და გარდაუწყვიტა ყოველისავე განსაკუთრებულ უფლება-უპირატესობის ჩამორთმევა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში 3 წლით გაგზავნა.

რუსეთის ქრონიკა

◆ მიწათ-მოქმედების სამინისტრომ შეიმუშავა პროექტი ნორმალურ წესდებისა წვრილ სამრეწველო ამხანაგობათა და არტელთათვის. ეს პროექტი განსახილველად გადაეცემა სასოფლო სამეურნეო საბჭოს.

◆ როგორც მთავრობის მიერ გამოქვეყნებულ ცნობებიდან სჩანს, 1900 წელი რუსეთის რკინის გზებზე 5,084 უბედურება მომხდარა (წინა წელ 4,447). აქედან 1,367 ჯერ მატარებელი ლიანდაგს გადასცდენია, 967 ჯერ დაჯახებულან მატარებლები 2,700 ჯერ სხვა-და-სხვა უბედურება მომხდარა. სულ დაშავებულა 8,659 კაცი. აქედან 1,406 კაცი მომკვდარა და 7,253 დასახიჩრებულა. მოკლულთაგან 839 კაცი გარეშე ყოფილა და არა რკინის გზის მოსამსახურე. დაშავებულთაგან მოსამსახურე ყოფილა 1,768 კაცი.

◆ ლაპარაკი იყო, რომ ეგრედ წოდებული სადგომებზე გადასახადი ქალაქებში თვითმმართველობებს გადაეცემაო. მთავრობამ არ შეიწყნარა ეს აზრი.

თეატრი

ქართული წარმოდგენა. როგორც იყო გვეღირსა ერთის ახალი და ორიგინალურის პიესი ნახვა ჩვენ სცენაზე, მაგრამ სამწუხაროდ განსვენებულის ა. ცაგარლის სცენებს „როგორც მოხვალ სვინაო, ისე წახვალ შინაო“*) წასაკითხავად თუ არა უშავს, წარმოდგენილი მეტად მშრალი გამოვიდა; განსაკუთრებით სრულიად უსიცოცხლოა პირველი ორი სცენა, რომლებიც კიდევ უფრო მოსაწყენი იქნებოდა, რომ შიგ ცეკვა, ზურნა და სიმღერა არ იყოს ჩართული. პიესას ძლიერ ეტყობა, რომ სცენებია მხოლოდ, არ წარმოადგენს მჭიდროდ შეკავშირებულს ერთს მთელს, არ არის დამთავრებული, შემუშავებული. პიესაში ორიოდე ცოცხალი ტიპია დახატული: თალალა (ქ. გაბუნია-ცაგარლისა) და ნიკოლა (ბ. აწყურელი), მაგრამ თალალას მაინც აკლია ერთიანობა. თავში თალალა ისეთი ადამიანია (ოთარაანთ ქვრივის მსგავსი), რომელიც არავის არ უთმობს თავის უფლებას, არავის არ ერიდება, ყველას ებრძვის თავისის ინტერესებისათვის; იგი მებრძოლი დედაკაცია, რომელიც მტერს ასე ადვილად არ შეურიგდება. შესაძლებელია, ასეთი ადამიანი ამასთანვე გულკეთილი იყოს, მაგრამ არაა ბუნებრივი, რომ თათელა ისე უცებ ურიგდება მინადორას (ქ. ლეჟავას), თავისს სიძის საყვარელს.

ასეთის პიესების თამაში კანონიერი იქმნებოდა განვითარებულ საზოგადოებაში, სადაც თეატრს მაგრად აქვს მოდგმული ფეხი და ამისი არსებობა სრულიად უზრუნველყოფილი, კანონიერი იქნებოდა, რადგან ამას მოითხოვდა ავტორისადმი პატივისცემა და ის, რომ პიესა ასე თუ ისე მაინც სურათია ჩვენის ცხოვრების. მაგრამ ცუდია ასეთის სუსტის პიესების დადგმა ჩვენს სცენაზე, როდესაც მხოლოდ საუკეთესო პიესებით შეგვიძლია მოვიზიდოთ მაყურებლები.

მოთამაშეებში უნდა გავჩერდეთ მარტო ქ. გაბუნია-ცაგარლისა და ბ. აწყურელზე. ბ. აწყურელი ტიპიური **ქალაქელი** ყაზახი იყო, თვითონ ცხოვრებიდან ამოღებული ტიპი. თამამად შეგვიძლია ვსთქვათ. რომ პიესამ თუ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა მაყურებლებზე, ეს მხოლოდ ქ-ნ გაბუნია-ცაგარლის შემწეობით. პიესა მარტო ამ ნიჭიერის მსახიობის თამაში იყო. ამდენი სინამდვილე იყო, იმდენი საუცხოვო ადგილები მის თამაშში, რომ ჩვენ არ ვიცით, რომელს უფრო მივაქციოთ ყურადღება. რაც უნდა დამკვირვებელი მაყურებელი ყოფილიყო, უბრალო ჟესტს, ერთის სიტყვას ვერ ნახავდა და გაიგონებდა მისგან უადგილოდ და უხერხულად.

სხვა აქტიორებზე შეიძლება ვსთქვათ, რომ არც ერთი არ ახდენდა როლს. ა. ცაგარლის სცენების შემდეგ წარმოადგინეს ვოდევილი „არც აქეთ, არც იქით“. კარგი იყვნენ ყველანი. კარგი იყო ბ. გედევანოვიც. მშვენივრად, სწორედ საუცხოვოდ თამაშობდა ვ. აბაშიძე მშიერაძის უბრალო როლს, მაგრამ ძალიან ვწუხვართ, რომ ჩვენს დრამატიულს კომიტეტს ვოდევილების მეტი სხვა ვერაფერი მოუპოვებია ამ აქტიორებისათვის!

კვირას „პატიოსნება“-ს თამაშობს ჩვენი დასი. იქით ალბად კიდევ „ლანდი“ იქნება განმეორებული. „შტოკმანი“, როგორც სჩანს, გამოურიცხავთ რეპერტუარიდან: ვ.

სასამართლო

თავ. კონსტ. დადიანისა და გ. ჩიქოვანის საქმე

1901 წლის 21 ივლისს, ზუგდიდის მაზრის პოლიციის მოხელეთ თავიანთ საიდუმლო აგენტისაგან ცნობა მიუღიათ, ციმბირიდან გამოქცეულნი დამნაშავენი გიდი ემუხვარი და კოტო ხიბულავა იმალებიან ამავე მაზრის სოფ. ჭკადუაშის მცხოვრებ თავ. კონსტანტინე (იგივე კოწია) გიორგის ძის დადიანის სახლშიო. ამის გამო, მეორე დღეს ღამით, ზუგდიდის ნაწილის ბოქაულს შენგელიასა და წალენჯიხისას—ქედიას თან წაუყვანიათ 19 კაცი ამიერ-კავკასიის საპოლიციო დარაჯთა რაზმიდან და ღამის $3^1/_2$ საათზე თავ. დადიანის სახლს შემორტყმიან გასაჩხრეკად. ბოქაულებს დარაჯები ეზოს გარეშემო დაუყენებიათ და თითონ რამდენისამე დარაჯით სახლში შესულან. ამ დროს, დარაჯების კიკლაძესა, ბესარიონ ჩხეიძისა და გარში ვეტროვის სიტყვით, თავ. დადიანის სამზარეულოდან გამოსულა მისი მსახური, მურზა უშხვიანი, და ძაღლის ხელება დაუწყია, რათა მას ყეფა აეტეხა ეზოში; უშხიანს ამასთანავე რამდენჯერმე დაუსტვენია, თითქოს ვიღაცას აფრთხილებსო. თავ. დადიანის ეზოში უნახავთ ცხენი, რომლის პატრონი სახლში არავინ აღმოჩენილა; გაჩხრეკის დროს არაფერი საეჭვო არ აღმოჩენილა-რა, მხოლოდ ერთის უნაგირისა და ჩოხის მეტი, რომელთა პატრონი ვერ მიიგნეს. თითონ თავ. დადიანი თავის სახლობით ერთის კვირის წინადვე წასული ყოფილა სტუმრად თავისს დისთან სოფ. ხიბულაში. სახლში დარჩენილა მხოლოდ თავ. დადიანის უმცროსი შვილი ოთარი; მასთან ერთად ოთახში ეძინა იმ ღამეს გიდი ემუხვარის ბიძაშვილს გუჯი ალექსის ძე ჩიქოვანს, სახლში იყვნენ აგრეთვე მოსამსახურენი დადიანისა: ზუდანია გოგიშიძე, ესარტია, შარიამ კვიციანი და სხვ. ამ გაჩხრეკით ბოქაულები არ დაკმაყოფილებულან და, რადგანაც ეჭვი შეუტანიათ, რომ აქ სადმე უნდა იმალებოდნენ ემუხვარი და მისი ამხანაგი, შესდგომიან მთელს ეზოში ჩხრეკას. ნაშუაღამევის 4 საათზე დარაჯებს აღმოუჩენიათ ის ადგილი, სადაც ჩამალული ყოფილა ემუხვარი: თავ. დადიანის ეზოს ერთ განაპირა მაღლობზე, რომელიც ხშირი ტყით და ჩალით ყოფილა დაფარული, ემუხვარს იქ ამოურჩევია ერთ ხეს ქვეშ ადგილი და დაუძინია. ემუხვარს, როგორც კი შეუტყვია დარაჯთა მიახლოვება, აუტეხია თოფის სროლა. სროლაში მოკლულ იქმნენ ორი ურიადნიკი, გოგოლიშვილი და ბერიძე და ციმბირიდან გამოქცეული გიდი ემუხვარიც.

რული საიმისოდ საძნელო არ არის. არამცთუ ქვეითს, დატვირთვულს ცხენსაც თამამად შეუძლია მთის წვერამდე ავიდეს. საცა ჯვარედინი გზებია, უეჭველად ბოძია დასობილი, წარწერიანი, რომელიც გაუწყებსთ, თუ რომელ გზას დაადგეთ. შეხვდებით აგრეთვე წარწერას იმის შესახებ, რომ 15 წუთის სავალია ამა და ამ შალემდე (მწყემსების ბინამდე), სადაც საჭმელ-სასმელის შოვნა შეიძლებაო.

—

ორის საათის სიარულის შემდეგ სწორედ ნახევარ გზაზე მივადექით ორ-სართულ ხის სახლს, რომელიც მწყემსების ბინაც არის და პურის საჭმელი სახლიც. ერთი გრძელი დარბაზი გრძელის მერხებით და უბრალო მაგიდებით მორიგებული გამვლელ-გამომვლელთა პურის საჭმელადაა დანიშნული. ჩასუქებულმა და ლოყებ-დაბრაწულმა მოსამსახურე გოგომ ხელად მოგვიდგა ყავა და რძე, ზედ დაურთო შაქარი, თაფლი, პური, დანა-ჩანგალი და ჩვენც მადიანად შევექცით. სულ ყველაფერი ჰარბადა გვქონდა, და იცით რა გადაგვახდევინეს ყოველსავე ამათში სამს კაცს? არც კი დაიჯერებთ,—ოთხი აბაზიც არა! მერე სად?—მთაში, სადაც მწყემსებს გარდა არავის შეხვდებით.

ხსენებულს შალეს ცოტას გავსცდებით თუ არა, ტყე თხელდება, საქონლის ზარების ხმა თან-და-თან ახლოვდება. ბოლოს გამოჩნდება თვით მწყემსების ბინებიც, მთის ფერდობებზე შორი-ახლო გადმომდგარნი. აქ არის საზაფხულო ალპიური საძოვრები. სადაც მწყემსებს ორ-სამ თვეით საქონელი ამოუდით. აქვე აკეთებენ განთქმულს შვეიცარიულ ყველს. მაგრამ თქვენ საქონელი უნდა ჰნახოთ აქაური!.. წლი-ნახევრის ხბო ჩვენებურის სამის წლის ბულაზე დიდია, ხოლო ძროხა და ხარი ჩვენებურს კამეჩს თუ არა სჭარბობს სიდიდით, არ ჩამოუვარდება. ყველა გათქვირებული, სუფთა, მშვიდი, მერე როგორ უვლიან! ღამე თავის დღეში არ გააჩერებენ ცის ქვეშ. ყველასათვის ბინა აქვსთ, ყოველთვის სუფთა და თბილი. თვით საქონელს ყოველ ორ-სამ დღეში საპნითა ჰბანენ, საკვები არ აკლიათ და, აბა, რა თქმა უნდა, ძროხა უხვად იძლევა რძეს და ხარს კიდევ შრომის ატანა და დიდის ტვირთის ზიდვა შეუძლია. ერთი ბეწო რომ წამოსტკივდეს აქაურს საქონელს, მაშინათვე ბეითალთან აფრენენ კაცს. არავითარს ხარჯს არა ჰზოგავენ, რომ ძვირფასი საქონელი მოუვლელობით ხელიდან არ გამოეცალოსთ. ხუმრობა კი არ არის, მთელის ოჯახის მარჩენელ პირუტყვის სიკვდილი! არის ძროხა ან ხარი, რომელიც ოცდახუთი და ოცდაათი თუმანი ღირს. აქ ისიც მოვიხსენიოთ, რომ აქაური ზიმენტალის ხეობის საქონელი არამცთუ შვეიცარიაში—მთელს დედა-მიწაზე განთქმულია.

—

ტყე თავდება და გავდივართ შიშველზე. ბილიკი სულ მიხვეულ-მოხვეულად მიდის. მთის გრილი ნიავი სიარულს გვიადვილებს, ათასფერ ყვავილთა სუნნელება ყნოსვას გვიტკბობს, წინ თვალუწვდომელ სივრცეში წამოზიდულ მთათა ლამაზი მოხაზულობანი ხედვას აჯადოვებს. ყოველს ნაბიჯზე მოისმის ლუკლუკი მთის წყაროებისა, რომელნიც ვერცხლის წყალივით ცელქად მიხტიან და ჰნამავენ გარშემო ჩარჩოსავით შემოკრულ მწვანე ხავერდის მსგავს მდელოსა. ხევში ზამთრის თოვლი ისევ აულებელი ძევს და მისგან წამომავალი სიგრილე მზის სხივებს სიცხარეს უნელებს. კიდევ საათიოდ სიარული და მთის, ნიზენის, წვერზე მოვექცევით.

სასტუმრო, ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი, ზედ წვეროზედაა მოქცეული. ქვედა სართულში გრძელი დარბაზია მოსუფრალთათვის, გვერდით საკუჭნაო და სამზარეულო. მაღლა სართულში სადა ოთახებია გამართული, რომლებშიაც ორი-სამი ხის ლოგინები დგას, ზედ ლოშაკია, სუფთა ზეწარი და სუფთავე საბნები გადაფარებული. რადგან აქ ზაფხულშიაც სულ მუდამ სიცივეა ღამ-ღამობით, ყოველს ლოგინზე თითო მსუბუქ ბუმბულით გატენილი მოგრძო ბალიშების მსგავსი პარკებია სითბოსათვის საბან ზევიდან გადასაფარებელი. კაცის თავზე შიგვე სდგას პირსაბანი, თითო სკამი და ერთიც უბრალო მაგიდა. სადაა ყველაფერი, მაგრამ რაც ერთს კაცს დასჭირდება, არაფერი აკლია. არის, რა თქმა უნდა, უკეთესი ოთახები, უფრო ლამაზად მორთული. ჩვენს ოთახში სამს კაცს სულ $7^1/_2$ ფრანკი (სამიოდ მანეთი) გამოგვართვეს ერთს ღამეში.

სწორედ იმ დროს ავედით, როცა მზეს ჩასვლამდე ცულის ტარი უკლდა. ჩამავალ მზის დიდებულების საყურებლად სასტუმროდან მოშორებით ცალკე ადგილია, საიდანაც როგორც ხელის გულზე ისე მოსჩანს მთელი გარშემო წამოზიდული მწვერვალები: შვეიცარიის მშვენება მარად თოვლიანი 4,207 მეტრის სიმაღლე „იუნგფრაუ“ („ქალწული“), ეიგერი, მონხ და სხვა. ძირს ტურფად გადაშლილი სოფლები, ლურჯი ტბა ტუნისა, ინტერლავენისა, მათი სხვა ტბებთან შემაერთებული არხები. კალმით აუწერელია მზის უკანასკნელ სხივებზე აელვარებული მწვერვალი იუნგფრაუსი და მის გვერდით პირქუშ დარაჯებივით ჩამწკრივებულ მთათა, ცვლა უზარმაზარ ჩრდილთა, რომელნიც მთიდან მთაზე ზლაზვნით მდევებივით გადადიან... დანიშნულ ადგილას ოცამდე სხვა მგზავრი დაგვხვდა: ქალი, კაცი, მოხუცი, ახალგაზდა, ჩვენსავით ბუნების სიდიადის საყურებლად ამოსულები. მზე ჩაესვენა, ერთგვარი ჩრდილი გადააწვა მთელს მხარეს, ზევით უხვად კაშკაში მორთეს ცის მნათობთა, გაოფლიანებულებს სიცივემ კბენა დაგვიწყო.

(დასასრული იქნება)

---

*) ეს პიესა ჩვენს გაზეთში იყო დაბეჭდილი, ამიტომ არ მოვიყვანთ აქ ამის შინაარს.

თავ. გიგი თადოს ძე ემუხვარისათვის ტფ. სამოსამართლო პალატას 1897 წელს ყოველივე უფლებები ჩამოერთმევია და ტობოლსკის გუბერნიას გადასახლებია. ემუხვარი ციმბირიდან გამოქცეულა და ზუგდიდის მაზრაში, როგორც საბრალმდებლო ოქმიდან სჩანს, ყაჩაღობა დაუწყია. 1900 წლის 11 მარტს თავს წასტეხიან პოლიციის დარაჯნი სოფ. ჭკადუაშში, მაგრამ ემუხვარს მოუსწვრია რევოლვერით სტრაჟნიკის კარპე აკონინის მოკვლა და გაქცევა. ამ დროდან ემუხვარი პოლიციამ ხელში ვერ ჩაიგდო, ვიდრე დადიანის სახლის ეზოში არ მიასწრეს და არ მოჰკლეს. იმ ადგილას, სადაც ემუხვარი მოუკლავთ, უნახავთ თავ. დადიანის სახლიდან გამოტანილი ქვეშსაგები და აგრეთვე თოფი დადიანის შვილის მუშნისა. ამ ადგილას კაცს ადვილად შეეძლო დამალვა ისე, რომ სხვა ვერავინ დაინახავდა, თუმცა თითონ ყველაფერს ჰხედავდა. ამ ადგილიდან ბილიკი მიდიოდა დადიანის სახლამდე. ამის გამო პოლიცია ეჭვში შევიდა, რომ დადიანი აფხაზის ემუხვარის და სხვათა მფარველი არისო. შესდგომიან გამოძიებას. გამოძიების დროს ბოქაულებს შენგელიასა და ქედიას უთქვამს, რომ კვარაცხელიასა და ვასილ კრილოვს თავიანთ თვალით უნახავთ რამდენჯერმე კოწია დადიანის სახლში გიგი ემუხვარიო. კვარაცხელიას და კრილოვს ჩვენების ჩამორთმევის დროს შეუმოწმებიათ ბოქაულების ნათქვამი და დაწვრილებით უამბნიათ, როგორ გაჰყვნენ ისინი საიდუმლო აგენტს დადიანის სახლში, სადაც ემუხვარი ბერდანკით ხელში ფანჯრიდან დაინახეს დადიანის ოჯახობასთან ერთად. მაზრის უფროსს გელაშოვს, თანაშემწეს კალანდარიშვილს და ბოქაულებს შენგელიასა და კეიდიას გამოძიების დროს განუცხადებიათ შემდეგი: დიდი ხნიდანვე ხალხში ხმა დადიოდა, რომ კოწია დადიანი თავისს სახლში ჰმალავდა ყაჩაღებს. იგი ჰსარგებლობდა თვისის მდგომარეობით, როგორც მთავრის დადიანის შვილის-შვილი; მთელი სოფელი იმას ხელში ეჭირა; იმისი ხალხი სავსე იყო საეჭვო ყოფაქცევის კაცებით, ურიდობებსაც ახდენდა მცხოვრებლებთა შორის, ვითომდა აფხაზობის მოსასპობ საშუალებათა შესამუშავებლად; ნამდვილად-კი გაეწერა სოფელს გადასახადი, მაგ., სიმინდი. თუმცა მთავრობის წინადადებით თავ. დადიანმა ყაჩაღები თავისის ხელით დაიჭირა რამდენჯერმე და წარუდგინა მთავრობას, მაგრამ ამას სჩადიოდა მაშინ, როდესაც დაჭერილის პასუხის გებაში მოცემა შეუძლებელი იყო. თავ. კოწია დადიანი ჯერ კიდევ 1883 წელს მთავრობას ადმინისტრატიულის წესით გადაუსახლებია რამდენისამე ხნით ქ. სტავროპოლში, აფხაზების მფარველობისა და ცხენების ქურდების წინამძღოლობისათვის.

ზემოდ აღნიშნულ გარემოებათა გამო დადიანი და ჩიქოვანი პასუხის გებაში მიუციათ, როგორც აფხაზის ემუხვარის დამფარველნი. ბრალდებულთაგან დამნაშავედ თავი უცვნია მხოლოდ გვაჯი ჩიქოვანს, რომელსაც განუცხადებია, რომ 20—21 ივლის შევხვდი ბიძა ჩემს გიგი ემუხვარს, რომელიც შემეხვეწა ბინა მეშოვნა იმისთვის ღამე, რადგან შეუძლოდ იყო. რადგანაც ჩიქოვანს სცოდნია, რომ დადიანი სახლობით შინ არ იყო, შეუხვევია იმის ეზოში, ემუხვარი ტყეში დაუწვენია და თითონ დადიანისას მისულა ღამის გასათევად. დადიანს თავი დამნაშავედ არ უცვნია და უთქვამს გამოძიების დროს: მე შინ არ ვიყავი და უჩემოდ შეეძლოთ ჩემს ეზოში ემუხვარი დაემალათო.

ქუთაისის ოლქის სასამართლოში საქმის გარჩევის დროს უმთავრეს მოწმეთ კვარაცხელიასა კრილოვსა და სხვათაც თავიანთი ჩვენება შეუცვლიათ და განუცხადებიათ, ჩვენ ფიცი მივიღეთ და მართალი უნდა მოგახსენოთ, რომ დადიანის სახლში არამც თუ არ გვინახავს ემუხვარი, სრულიადაც არ გაგვივლია იქით. სასამართლოს დამნაშავედ უცვნია ორივე ბრალდებული და გარდაუწყვეტია ყოველისავე უფლებათა ჩამორთმევა და კატორგაში გაგზავნა თავ. კოწია დადიანისა—6-სა, ხოლო გვაჯი ჩიქოვანისა 4 წლით.

სამოსამართლო პალატაში დადიანს იცავდა ნაფ. ვექ. ოპოჩინინი, ხოლო ჩიქოვანს—თავ. ფალავა. საქმის გარემოების მოხსენებას პალატა ნაშუადღევის $2\frac{1}{2}$ საათამდე მოუნდა. დადიანის ვექილმა გრძელ სიტყვაში უმთავრესი ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ არ არის დამტკიცებული ემუხვარის მიერ დარაჯის აკინინის მოკვლა. აგრეთვე აღნიშნა, რას წარმოადგენენ ეხლანდელ საიდუმლო პოლიციის აგენტები, რომელთა ნათქვამს არავითარი მნიშვნელობა და ფასი არ უნდა დაედვას; გრძელად შეეხო მოწმეების არეულს ჩვენებას და დასასრულ ითხოვა თვისის კლიენტის გამართლება. თავ. ფალავამ ითხოვა მეტის თანაგრძნობით მოჰკიდებოდა პალატა ჩიქოვანს სასჯელის გარდაწყვეტის დროს. პალატამ თითქმის ორის საათის თათბირის შემდეგ ნაშუადღევის 5 საათზე გამოაცხადა განაჩენი, რომლითაც როგორც აღვნიშნეთ, უდანაშაულოდ იქმნა ცნობილი თავ. დადიანი, ხოლო თავ. ჩიქოვანის შესახებ დაამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი. საქმის გარჩევას ბევრი ხალხი დაესწრო.

II

ი. მესხის მოკვლის საქმე

წელს მარტში რკინის გზის სადგურზე ბაქოში სასიკვდილოდ დასჭრეს სადგურის უფროსის თანაშემწე იოველ სპირიდონის ძე მესხი, რომელიც რამდენისამე დღის შემდეგ გარდაიცვალა კიდეც. მესხი დასჭრა გლეხმა მიხეილ ჩერნიკოვმა, რომელსაც დანა დაეკრა მესხისათვის გულში მარჯვენა მხარეს და მთელი ფილტვი გაეჭრა. ეს საქმე ამ რამდენისამე დღის წინად ბაქოს საოლქო სასამართლოს გაურჩევია. ჩერნიკოვს უთქვამს, რომ მე წინდვე განზრახული არა მქონია მესხის მოკვლა. 17 წლის სამსახურის შემდეგ შარშან ოქტომბერში მეორე თანაშემწის, დიდებულიძის, ჩაგონებით სამსახურიდან დამითხოვა მესხმა, ვითომ ნავთის ქურდობა ჩამდენიო. მერე ნოემბერში, როგორც იყო მოხერხდებოდა ჩემი სამსახურში ახლად შესვლა, მაგრამ იმავე დიდებულიძემ ხელი შემიშალა და იმის ჩაგონებით ექიმმა პავლოვსკიმ სამსახურისათვის უვარგისად მიცნო. იმ დღეს, როცა ეს ამბავი მოხდა, სულ მთვრალი ვიყავი; სადგურზე რომ მოვედი, მესხს შევხვდი, ადგილი ვსთხოვე, მაგრამ სახეში ჩამაფურთხა და „ძაღლი" დამიძახა. მეც ბრაზი მომერია, დანა ამოვიღე და დავჰკარიო —ასე გამოაცხადა ჩერნიკოვმა. მაგრამ სულ სხვა დაამოწმეს მოწმებმა. როცა ჩერნიკოვი ჟანდარმებმა შეიპყრეს და წაიყვანეს, გზაში ამბობდაო: „ვისაც შური სჭირს, ყოველთვის იშოვის დროს; მეც ისე მოვიქეცი, რაც დიდი ხანია მინდოდა ამესრულებინაო". მოწმებმა ისიც სთქვეს, რომ ჩერნიკოვი ექიმ პავლოვსკისა და სადგურის ყველა უფროსებს ემუქრებოდა მოკვლასაო.

ჩერნიკოვი დამნაშავედ იცნო სასამართლომ და 10-ის წლით კატორგაში ყოფნა მიუსაჯა.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

7 ნოემბერი

ხარკოვი. ხორბალი დღითი დღე უფრო გროვდება სამხრეთის რკინის გზების სადგურებზე.

ლონდონი. გერმანიის იმპერატორმა დიდი კმაყოფილება გამოაცხადა ინგლისში მოგზაურობის გამო.

ტულონი. სამ კრეისერს ბრძანება მოუვიდა დღეს მაროკოში წასვლისა.

ლონდონი. დეპუტატთა პალატაში ლორდმა კრანბორნმა გამოაცხადა: ბრიტანიის ელჩი ტანჟერში არ ჰფიქრობს, რომ მაროკოს ამ ჟამად მართლა უნდოდეს წესიერების დარღვევაო. მიუხედავად ამისა, მთავრობა მაინც გაჰგზავნის გემებს ინგლისელთა და იმათ საქონლის დასაცველად.

პარიზი. მომხსენებელს სენატის იმ კომისიისას, რომელიც სამხედრო ბეგარის ორის წლით სამსახურის შესახებაა ამორჩეული, გამოუცხადებია ჟურნალისტებისათვის, რომ სამხედრო ბეგარის კანონი შეიძლება შემოღებული იქმნეს 1904 წლის ოქტომბერშიო.

ათინა. რამდენიმე ბოლგარელი, რომელიც ოსმალეთიდან საბერძნეთს გადავიდნენ, საბერძნეთის მთავრობას დაემორჩილნენ.

კონსტანტინეპოლი. ბოლგარიის სამზღვრებზე მთავრობის წარმომადგენლებს სულთანის ბრძანება გამოუცხადეს, რომ ლმობიერად მოიქეცით იმ შემთხვევაში, როცა სამზღვრებიდან აჯანყებულებს დაუწყებთ განდევნასაო.

სოლუნის ვილაიეტის სოფელ გენგელისში ბოლგარელთა კომიტეტის წევრებმა ამოსწყვიტეს ბერძენთა ერთი ოჯახი.

სამხედრო სამინისტრომ განკარგულება მოახდინა, აჯანყების გამო შეკრებილი 16 ბატალიონი სათადარიგო ჯარი შინ დაითხოვეთო.

პეტერბურგი. გადაწყვეტილია, მომავალ წლიდან შემდეგის რკინის გზების აშენებას შეუდგნენ: პეტერბურგიდან პეტროზავოდსკამდე და ერევნიდან სპარსეთის საზღვრამდე. აშენდება აგრეთვე ტოტი ბალტიის რკინის გზის სადგურ კეგელიდან ჰაფსალამდე.

შუამდგომლობას აღძრავენ, რომ ვილნოში ანტოკოლსკის სახელობაზე სამხატვრო-სამრეწველო სასწავლებელი გაიხსნასო.

პეტერბურგი. ოდესაში 23 ოქტომბრიდან 5 ნოემბრამდე აღარ შეუნიშნავთ, რომ შავის ჭირით გამხდარიყოს ავად.

8 ნოემბერი

პეტერბურგი. კიევის სამხედრო-საოლქო სასამართლომ 26 ოქტომბერს გაარჩია საქმე ხარკოვის გუბერნატორის მოკვლის განზრახვის შესახებ. დამნაშავეს ყოველივე ღირსების ჩამოხსნა და ჩამოღრჩობა მიუსაჯა. თავადმა ობოლენსკიმ უქვეშევრდომილესი სთხოვარი მიართვა და ხელმწიფე იმპერატორმაც კეთილ-ინება დამნაშავეს ჩამოღრჩობა ეპატიოს და სამუდამოდ კატორგაში გაიგზავნოს.—გენერალ-ლეიტენანტი სუბოტიჩი დაინიშნა პრიამურსკის გენერალ-გუბერნატორად, აქაურ ჯარების უფროსად და ყაზახთა ჯარების უფროს ატამანად.—გენერალ-ლეიტენანტი თავ. ვასილჩიკოვი გვარდიის კორპუსის უფროსად დაინიშნა.

იალტა. 6 ნოემბერს საბერძნეთის სამეფო გემ „ამფიტრიდა"-ზე მობრძანდნენ ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფე-დედოფალი, საბერძნეთის მეფის ძე ნიკოლოზი და დიდი მთავრინა ელენე ვლადიმირის ასული. მათი უდიდებულესობანი გამოეთხოვნენ ახლად დაქორწინებულთ და ლივადიას წაბრძანდნენ. გემი საბერძნეთს გაემგზავრა.

6 ნოემბერს ხელმწიფე იმპერატორმა მიიღო ჩრდილო-ამერიკის შეერთებულ შტატების ელჩი, რომელმაც გამოთხოვების საბუთები ჩააბარა. დედოფალმა ელჩის მეუღლე მიიღო. ელჩი და იმისი მეუღლე უმაღლესს საუზმეზე მიიწვიეს.

— ხელმწიფე იმპერატორმა სასახლის მინისტრს უბრძანა, გადაეცით ფინანსთა მინისტრს, რომ მის იმპერატორებით უდიდებულესობამ საჭიროდ დაინახა, რომ იალტა შეკავშირებულ იქმნეს სხვა რკინის გზებთან და ეს გარემოება არ დაივიწყოს, როცა საზოგადოდ რკინის გზების აშენებაზე თავის მოხსენებას წარმოადგენსო.

დალმენი. იმპერატორი ვილჰელმი ბრუნსბიუტელს წავიდა. ინგლისის სამხედრო გემებმა იმისს პატივ-საცემლად ზარბაზნები გაისროლეს.

პარიზი. როგორც ამბობენ, სერბიის ახალ სესხის ქაღალდების პარიზის ბირჟაზე გასანაღდებლად გამოტანის ნება დაჰრთეს.

სოფია. საერო კრებაში მინისტრ პრეზიდენტმა გამოაცხადა: მაკედონიის საქმეები მხოლოდ რეფორმების შემოღებით გადაწყდება; რეფორმების შემოღება კი მხოლოდ მაშინ იქმნება შესაძლებელი, როცა ბოლგარიის შესახებ ეჭვიანობა მოისპობაო.

ბელგრადი. სკუპშჩინას კრებები გადადო.

პრეტორია. ტრანსვაალში ომიანობის დროს შემოღებული წესები აიხსნა. ბურებს დასახლების ნებას იმ პირობით მისცემენ, თუ ქვეშევრდომობაზე ფიცს მიიღებენ.

პეტერბურგი. გენერალ-ლეიტენანტი ბარონი ფონ-შტაკელბერგი 1-ლ საკავალერიო კორპუსის უფროსად დაინიშნა, ინფანტერიის გენერალის ლერმონტოვის ადგილზე, რომელიც სამხედრო საბჭოს წევრად დაინიშნა.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან 15 მაისამდე

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბაქოს:—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს, 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

ყარსს:—1) საფოსტო № 70/71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლისა № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

მიხაილოვოსა და ბორჯომს:—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

შორაპნამდე: საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 21 წ.)

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ:—1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.); 3) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) (პარასკეობით, პირდაპირ მოსკოვიდან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—ღამის 1 ს. 40 წ. (2 ს. 38 წ.).

ბათუმისაკენ:—1) ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.); 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.); 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

შორაპნისაკენ:—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

ე) ფოთიდან გამოდის:

რიონ-ქუთაისამდე:—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.)

სამტრედია-ბათუმამდე:—ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს. 25 წ.).

სამტრედია-ბაქომდე:—საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

განცხადებანი

ქ. ქუთაისში
მიხეილის ქუჩაზე გოგიელოვის შენობაში
ტარიელ დიმიტრის ძე
გაბუნიას და ამხანაგობას

აქვს გახსნილი საწყობი, სადაც იყიდება ყოველნაირი დაწმენდილი არაყეულობა, სპირტი და სასმელები ზომიერ ფასებში. საქონელი მოწონებულია ტფილისის გამოფენაზე და დაჯილდოვებულია. მყიდველებს შეუძლიათ მიმართონ ზემოხსენებული ადრესით. (15—9)

ქუთაისში
სამ. ბ. თოფურიას
სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს. (0—47)

იყიდება
სამ-სართულიანი
სახლი

დუქნებით და ფლიგელით, იძლევა 8%-ს წმინდა შემოსავალს. იკითხეთ ბაზრის ქუჩაზე სახლი № 8, დილით 9—10 საათ. და საღამოთი 5—6 საათ. (10—7)

ხის
ნახშირის საწყობი
იაგორ მამინაიშვილისა
(საკუთარი ტყიდან)
გვრის მოედანზე, ყაფანთან

ისყიდება საუკეთესო გაცხავებული და მშრალი **ნახშირი.**

შინ მიტანით 1 ფუთი 40 კაპ.).
ტელეფონი № 754 (წ.).

ნატურელი **თმის საღებავი**
გოლენდერისა.

ეს საღებავი უვნებელია და მკვიდრი. შეიძლება თმის იმგვარად შეღებვა, რა ფერისაც ბუნებითაა: შავად, წაბლის ფერად დ სხვ. **საღებავი ნატურელი** არ მოქმედებს ცუდად თმაზე. კოლოფი ჰღირს 1 მან. 50 კაპ., გაგზავნით 2 მან. იყიდება ყველა აფთიაქსა და საპარფიუმერო მაღაზიაში: სავაჭრო სახლი „საპარფიუმერო ლაბორატორია ი. გოლლენდერ", პეტერბურგი, რაზიეზჟაია, 13. განცხადება დაბეჭდილა „პრავიტ. ვესტნ."-ში № 216, 4 ოქტომბერს 1902 წ. (5—2)

Дозв. ценз. Тифлисъ, 8 Ноября, 1902 г. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва).